სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“
#12 საერთო კრების მოწვევის შესახებ
გადაწყვეტილება

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის.: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36) საერთო კრების 2022 წლის 29 აპრილის #8/2022 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-12 მუხლის მე-9 პუნქტის, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 183-ე მუხლის პირველი პუნქტის, 184-ე მუხლის 1 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად

გადაწყდა:

1. მოწვეულ იქნეს საზოგადოების რიგგარეშე_საერთო კრება **2023 წლის 22 მაისს, 12:00 სთ-ზე,** მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0102, კ.ხეთაგუროვის ქ. #36;

2. **საერთო კრების დღის წესრიგით განისაზღვროს შემდეგნაირად:**
   1. *საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის 2022 წლის აუდირებული ანგარიშის წარდგენა;*
   2. *ნორდ პულთან დადებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განახლებული პროექტის პირობების შეთანხმება;*

3. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს 2023 წლის 18 მაისი, გასათვალისწინებელია, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
4. საერთო კრება ჩატარდება პირისპირ ან/და ონლაინ (თუ დაემთხვა გადაუდებელი აუცილებლობის მქონე მივლინება ან სხვა გარემოება) ფორმატში, კენჭისყრა ხორციელდება ღია ხმის მიცემის მეშვეობით, საერთო კრების ოქმში აისახება კენჭისყრის შედეგები;
5. საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებს ეცნობება პირადად, ასევე ელექტრონულ მისამართებზე გაეგზავნებათ კრების მოწვევის შესახებ წინამდებარე გადაწყვეტილება და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად საჭირო მასალები, კერძოდ:
   - ✓ სენბის 2022 წლის აუდირებული ანგარიში;
   - ✓ ნორდრდ პულთან დადებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განახლებული პროექტი;
   - ✓ გადაწყვეტილების მიღების პროექტი.

6. კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს პორტალზე არაუგვიანეს 2023 წლის 1 მაისისა.

გადაწყვეტილება მიღებულია 28.04.2023

ირინა მილორავა
გენერალური დირექტორი

Scanned with CamScanner